ზეინ ალ-აბედინ მარაყაი, „ებრაჰიმ ბეგის მოგზაურობის დღიური“

Zeyn al-ʻĀbedīn Marāghaʼī, *Siyāhat-nāme-ye Ebrāhīm Bīg yā balā-ye taʻassob-e ū*, be kūshesh-e Mohammad ʻAlī Sepānlū, Tehran, 1364/1985.



[თბილისელი ირანელები] ან მშენებლობაზე მუშაობდნენ, ან თიხას ზელდნენ, ან ქუჩაში ქვაფენილს აგებდნენ... როგორც ჩანს, ამ ქვეყანაში ყველაზე მძიმე და დამაცირებელი სამუშაო უბედურ ირანელებს ერგოთ. გადასასვლელზე ერთ მათგანს გამოველაპარაკეთ და ვკითხეთ: „აქ ირანელი ვაჭრები თუ არიან?“ გვიპასუხა: „როგორ არა, ხალათოვისა და ბარანბეკოვის ქარვასლებში ბევრი ირანელი ვაჭარია“.

ამ ქარვასლების ადგილმდებარეობა გავიგეთ და იქით გავეშურეთ. ერთ-ერთში შევედით და ყურადღებით მიმოვიხედეთ. დავინახეთ, რომ მაღაზიებში ირანელები ისხდნენ და მათ გარშემო ყანაოზის ქსოვილი, ჰამადანისა და ბორუჯერდის ჩითი, იაზდის ნარმა და ნაინის ტილო თოფებად ეწყო.

(სპარსულიდან თარგმნა მ. ალექსიძემ)